



# ლოგიკური მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა

დღეს გამოცდა ჩატარდება ლოგიკურ მსჯელობასა და რაოდენობრივ მსჯელობაში.

1. ლოგიკური მსჯელობის ნაწილი შედგება 17 ტესტური დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 17.  
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.
2. რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილი შედგება 19 დავალებისაგან.  
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 19.  
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

გისურვებთ წარმატებას!



# ლოგიკური მსჯელობა

II ვარიანტი

17 დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

1. მოცემულია:

- კომბინირებული პაკეტი მხოლოდ ადგილობრივმა მაყურებლებმა შეიძინეს.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) არაკომბინირებული პაკეტი მხოლოდ არაადგილობრივმა მაყურებლებმა შეიძინეს.
- (ბ) ადგილობრივმა მაყურებლებმა მხოლოდ კომბინირებული პაკეტი შეიძინეს.
- (გ) თუ მაყურებელმა კომბინირებული პაკეტი არ შეიძინა, ის ადგილობრივი არ არის.
- (დ) ვინც კომბინირებული პაკეტი შეიძინა, ის ადგილობრივი მაყურებელი არ არის.
- (ე) თუ მაყურებელი ადგილობრივი არ არის, მას კომბინირებული პაკეტი არ შეუძენია.

2. ექიმმა დღის განმავლობაში სულ ხუთი პაციენტი – ანა, ბაბი, გოგი, დიმა და ეთერი – რიგრიგობით თითოჯერ გასინჯა. ცნობილია, რომ:

- ანა უშუალოდ ბაბის შემდეგ არ გაუსინჯავს.
- ბაბისა და გოგის გასინჯვებს შორის ორი პაციენტი გასინჯა.
- გოგისა და ეთერის გასინჯვებს შორის სამი პაციენტი გასინჯა.
- ეთერი უფრო ადრე გასინჯა, ვიდრე ბაბი.

ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი?

- (ა) ანა მეორე პაციენტი იყო, დიმა – მესამე.
- (ბ) ბაბი მეოთხე პაციენტი იყო, ანა – მეხუთე.
- (გ) გოგი პირველი პაციენტი იყო, დიმა – მეორე.
- (დ) დიმა მესამე პაციენტი იყო, გოგი – მეხუთე.
- (ე) ეთერი პირველი პაციენტი იყო, ბაბი – მესამე.

3. მოცემულია სასწავლო ცენტრის წარმომადგენლის მსჯელობა:

*ჩვენ არ გვაქვს ამ საკითხის სწავლების ინტერაქტიული საშუალებები. შესაბამისად, ჩვენს მსმენელებს ამ საკითხს ვერ შევასწავლით.*

ჩამოთვლილთაგან რომელი უნდა დაემატოს მსჯელობაში წანამძღვრად, რომ მსჯელობა გახდეს მართებული?

- (ა) ამ საკითხის სწავლებისათვის ინტერაქტიული საშუალებების ქონა საკმარისია.
- (ბ) ამ საკითხის სწავლება ინტერაქტიულის გარდა სხვა საშუალებებითაც არის შესაძლებელი.
- (გ) ამ საკითხის სწავლებისათვის ინტერაქტიული საშუალებების ქონა აუცილებელია.
- (დ) ამ საკითხს ყველა სხვა სასწავლო ცენტრი ინტერაქტიული საშუალებების გამოყენებით ასწავლის.
- (ე) ამ საკითხს არცერთი სხვა სასწავლო ცენტრი არ ასწავლის ინტერაქტიული საშუალებების გამოყენებით.

4. მეგობარი მიმართავს ველოსიპედისტს:

*შეჯიბრების წინა საკონტროლო ვარჯიშისას, იდეალურ პირობებში, შენ მაქსიმალურად დაიხარჯე და ზღვის სანაპიროზე 90 კილომეტრი სამ საათში დაფარე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ შეჯიბრი ზღვის დონიდან 2000 მეტრ სიმაღლეზე ტარდება და ამ სიმაღლეზე ჰაერი ბევრად გაუხშობელია, შენ ვერ შეძლებ ასეთივე სიმძლავრის შენარჩუნებას და ვვარაუდობ, რომ იქ 90 კილომეტრის დაფარვისათვის სამ საათზე მეტი დრო დაგჭირდება.*

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი შეასუსტებს მეგობრის ვარაუდის მართებულობას?

- (ა) საკონტროლო ვარჯიშზე გავლილი მარშრუტი მაქსიმალურად ჰგავს შეჯიბრზე გასავლელ მარშრუტს.
- (ბ) საკონტროლო ვარჯიშიდან შეჯიბრებამდე პერიოდში სპორტსმენი არ დაკარგავს თავისი სპორტული მომზადების დონეს.
- (გ) ის, თუ რა დროის განმავლობაში შეუძლია ველოსიპედისტს სიმძლავრის შენარჩუნება, ამინდზეც არის დამოკიდებული.
- (დ) სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო გაუხშობელ ჰაერში მოძრაობს ველოსიპედისტი, მით უფრო ნაკლები წინაღობის დაძლევა უწევს მას.
- (ე) გაუხშობელი ჰაერის პირობებში ორგანიზმს უფრო ნაკლები ჟანგბადი მიეწოდება და სპორტსმენს ჩვეული სიმძლავრის შენარჩუნება არ შეუძლია.

## 5. მოცემულია:

კომპანია „ნეოტაქს“ მხოლოდ ელექტრომობილები ჰყავს, საჭიროების შემთხვევაში კი სხვა მანქანებსაც ქირაობს. ეს კომპანია საქალაქთაშორისო რეისებს ან ჰიბრიდული, ან ტრადიციულ საწვავზე მომუშავე ავტომობილებით ასრულებს, ხოლო ქალაქის შიდა რეისებს – მხოლოდ ელექტრომობილებით.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- I. თუ „ნეოტაქსი“ რეისს თავისი მანქანით ასრულებს, მაშინ ეს არ არის საქალაქთაშორისო რეისი.
- II. თუ „ნეოტაქსი“ საქალაქთაშორისო რეისს ასრულებს, მაშინ ეს რეისი ჰიბრიდული ავტომობილით სრულდება.
- III. თუ „ნეოტაქსი“ რაიმე რეისს ასრულებს, ეს რეისი ან ჰიბრიდული, ან ტრადიციულ საწვავზე მომუშავე ავტომობილით სრულდება.

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და II
- (ე) მხოლოდ II და III

6. კორპორატიული თათბირის ჩატარება კვირაში ორჯერ უნდა დაინიშნოს. ამის შესახებ ოთხი მენეჯერიდან თითოეულმა ორი მოთხოვნა წამოაყენა:

1-ლი მენეჯერი: პარასკევს უნდა დაენიშნოთ. ორშაბათს არ უნდა დაენიშნოთ.

მე-2 მენეჯერი: სამშაბათს უნდა დაენიშნოთ. ოთხშაბათს არ უნდა დაენიშნოთ.

მე-3 მენეჯერი: ორშაბათს უნდა დაენიშნოთ. ხუთშაბათს არ უნდა დაენიშნოთ.

მე-4 მენეჯერი: ოთხშაბათს უნდა დაენიშნოთ. პარასკევსაც უნდა დაენიშნოთ.

შეთანხმდნენ, რომ თითოეული მენეჯერის მხოლოდ ერთი მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა. რომელ დღეებში დაინიშნა თათბირი?

- (ა) ორშაბათს და სამშაბათს
- (ბ) ორშაბათს და პარასკევს
- (გ) სამშაბათს და ოთხშაბათს
- (დ) ოთხშაბათს და ხუთშაბათს
- (ე) ხუთშაბათს და პარასკევს



7. მოცემულია მსჯელობა:

*კვლევითი ჯგუფის კორესპონდენტებმა რეგიონის მონაცემები სრულად შეაგროვეს. შესაბამისად, კვლევით ჯგუფში იყო კორესპონდენტი, რომელმაც რეგიონის მონაცემები სრულად შეაგროვა.*

ჩამოთვლილთაგან რომელ მსჯელობაშია დაშვებული ისეთი ლოგიკური შეცდომა, რომელიც ყველაზე მეტად მსგავსია მოცემულ მსჯელობაში დაშვებული ლოგიკური შეცდომის?

- (ა) წელს პროდუქციის თითოეული ინგრედიენტის ფასი გაიზარდა. ამის გამო წელს პროდუქციის ფასიც უნდა გაზრდილიყო.
- (ბ) წლის განმავლობაში ყოველი სამგზავრო მატარებლის საშუალო სიჩქარე გაიზარდა. შესაბამისად, ამ პერიოდში თბილისი-ბათუმის სამგზავრო მატარებლის საშუალო სიჩქარეც გაიზარდა.
- (გ) წლის განმავლობაში მთის კურორტებზე სტუმრების რაოდენობა გაიზარდა. შესაბამისად, სტუმრების რაოდენობა ზღვის კურორტებზეც უნდა გაზრდილიყო.
- (დ) ნორჩ მათემატიკოსთა ტურნირზე ჩვენი სკოლის გუნდმა ყველა ამოცანის ამოხსნა შეძლო. შესაბამისად, ჩვენი სკოლის გუნდში იყო მონაწილე, რომელმაც თითოეული ამოცანა ამოხსნა.
- (ე) კვლევისას ყველა რესპონდენტმა დაადასტურა, რომ ემხრობა ახალ სისტემას. უნდა დავასკვნათ, რომ ახალ სისტემას მოწინააღმდეგე არ ჰყავს.

8. როგორც ცნობილია, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება სერიოზულ პრობლემებს იწვევს საზოგადოებაში. ამ მავნე გავლენის შესამცირებლად საინიციატივო ჯგუფი ითხოვს აზარტული თამაშების რეკლამირების სრულად აკრძალვას.

ჩამოთვლილთაგან რომელშია სწორად გადმოცემული ის პრინციპი, რომელსაც საინიციატივო ჯგუფის წევრები ეყრდნობიან?

- (ა) რეკლამირებას არ უნდა ექვემდებარებოდეს ობიექტი, რომელმაც შეიძლება სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს საზოგადოებაში.
- (ბ) დაუშვებელია, რომ რეკლამებში არ იყოს მითითებული შესაძლო მავნე გვერდითი ეფექტები.
- (გ) დასაშვებია მხოლოდ ისეთი ობიექტების ფუნქციონირება, რომლებსაც საზოგადოებისათვის დადებითი შედეგი მოაქვს.
- (დ) აზარტული თამაშების არსებობით მიღებულმა დადებითმა ეკონომიკურმა ეფექტმა უნდა გადაწონოს თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების მიერ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი.
- (ე) საზოგადოებისათვის პრობლემების თავიდან არიდების მიზნით, რეკლამებში გასული მასალა მხოლოდ უტყუარ ფაქტებს უნდა შეიცავდეს.

9. პროკურორი: „თუ ექვმიტანილი დამნაშავეა, მაშინ მას თანამზრახველი ჰყავდა.“

რომელია ისეთი ფაქტი, რომლის სისწორის შემთხვევაშიც დასტურდება ექვმიტანილის დამნაშავეობა?

- I. პროკურორის ნათქვამი მცდარია;
- II. პროკურორის ნათქვამი ჭეშმარიტია;
- III. თუ ექვმიტანილი დამნაშავეა, მაშინ მას თანამზრახველი არ ჰყავდა.

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და II
- (ე) მხოლოდ II და III

10. დავუშვათ, რომ:

- არცერთი გულმავიწყი თანამშრომელი არ არის გულგრილი.
- ყველა გულმავიწყი თანამშრომელი პოპულარულია, ხოლო გულგრილ თანამშრომელთა მხოლოდ ნაწილია პოპულარული.
- არცერთი პოპულარული თანამშრომელი არ არის წარუმატებელი.
- ყოველი არაპოპულარული თანამშრომელი წარუმატებელია.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) ზოგიერთი წარუმატებელი თანამშრომელი პოპულარულია.
- (ბ) არცერთი წარუმატებელი თანამშრომელი არ არის გულგრილი.
- (გ) თუ თანამშრომელი წარუმატებელია, მაშინ ის გულმავიწყია.
- (დ) ზოგიერთი თანამშრომელი არც გულგრილია, არც – გულმავიწყი.
- (ე) არცერთი წარუმატებელი ადამიანი არ არის გულმავიწყი თანამშრომელი.

11. მოცემულია მსჯელობები:

- I. არსებობს თანამედროვე ნაწარმოები, რომელიც არ არის ფანტასტიკის ჟანრის. ამასთან, არსებობს ფანტასტიკის ჟანრის ნაწარმოები, რომელიც არ არის ეკრანიზებული. შესაბამისად, არსებობს თანამედროვე ნაწარმოები, რომელიც არ არის ეკრანიზებული.
- II. ყველა აღიარებს, რომ ილბალი წარმატების მიღწევის აუცილებელი პირობაა. რადგან პეტრეს წარმატება უდავოა, ამიტომ პავლე იმასაც უნდა აღიარებდეს, რომ პეტრე ილბლიანია.
- III. არცერთი კაფე არ ყიდის ალკოჰოლურ სასმელს. რადგან „მსუყე ლუკმის“ ქსელში არცერთი ობიექტი არ არის კაფე, ამიტომ „მსუყე ლუკმის“ ზოგიერთი ობიექტი ყიდის ალკოჰოლურ სასმელს.

ჩამოთვლილთაგან რომელია ლოგიკურად მართებული?

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და II
- (ე) მხოლოდ II და III

**ამოცანები 12-14 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:**

გამომცემლობა ბეჭდავს სულ ექვს სხვადასხვა ჟურნალს – „ავტომობილები“, „ბუნება“, „სპორტი“, „ისტორია“, „კულინარია“, „მემუარები“. მისი გამომწერების შესახებ ცნობილია, რომ:

- ვისაც გამოწერილი აქვს „სპორტი“, გამოწერილი აქვს „მემუარებიც“.
- ვისაც გამოწერილი აქვს „კულინარია“, გამოწერილი აქვს „სპორტიც“.
- ვისაც არ აქვს გამოწერილი „ავტომობილები“, მას გამოწერილი აქვს „ბუნება“.
- ვისაც გამოწერილი აქვს „მემუარები“, მას არ აქვს გამოწერილი არც „ბუნება“ და არც „ისტორია“.

**12.** ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთი გამომწერის მიერ გამოწერილი ჟურნალების სრულ სიას?

- (ა) „ავტომობილები“, „ბუნება“, „კულინარია“, „ისტორია“.
- (ბ) „ავტომობილები“, „მემუარები“, „სპორტი“.
- (გ) „ბუნება“, „კულინარია“, „ისტორია“, „სპორტი“.
- (დ) „ბუნება“, „მემუარები“, „სპორტი“.
- (ე) „კულინარია“, „მემუარები“, „სპორტი“.

13. თუ ვინმეს არ აქვს გამოწერილი „ავტომობილები“, მაშინ ამ გამომცემლობის მაქსიმუმ რამდენი ჟურნალი შეიძლება ჰქონდეს მას გამოწერილი?

- (ა) ერთი
- (ბ) ორი
- (გ) სამი
- (დ) ოთხი
- (ე) ხუთი

14. თუ ვიღაცას გამოწერილი აქვს „ისტორია“, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) მას გამოწერილი აქვს „ბუნება“.
- (ბ) მას გამოწერილი აქვს „სპორტი“.
- (გ) მას გამოწერილი აქვს „მემუარები“.
- (დ) მას გამოწერილი არ აქვს „კულინარია“.
- (ე) მას გამოწერილი არ აქვს „ავტომობილები“.

*ამოცანები 15-17 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:*

საკასო ცენტრიდან ერთმანეთის მიყოლებით უნდა გავიდეს სულ ოთხი მანქანა, რომლებმაც ფული უნდა წაიღოს ოთხ ბანკში: ალფა, ბეტა, გამა, დელტა. მანქანის მძღოლები იქნებიან: ჩლაიძე, ჭოჭუა, ხავთასი და ჯაბაური. თითო მძღოლი თითო მანქანას წაიყვანს და თითო ბანკში მიიტანს ფულს. ცნობილია, რომ:

- პირველი მანქანა ფულს დელტაში წაიღებს.
- თუ ფულს ბეტაში ჩლაიძე არ წაიღებს, მაშინ გამაში არ წაიღებს ჭოჭუა.
- თუ ფულს ჯაბაური გამაში წაიღებს, მაშინ ხავთასმა ალფაში უნდა წაიღოს.
- ხავთასის გასვლის შემდეგ, ჩლაიძის გასვლამდე, მხოლოდ გამაში მიმავალი მანქანა გავა.

**15.** ჩამოთვლილთაგან რომელში შეიძლება იყოს მოცემული მართებულად და სწორი თანამიმდევრობით ცენტრიდან გასული მანქანების მძღოლები და დანიშნულების ადგილები?

- (ა) ხავთასი – დელტა, ჯაბაური – გამა, ჩლაიძე – ალფა, ჭოჭუა – ბეტა.
- (ბ) ჯაბაური – დელტა, ხავთასი – ბეტა, ჭოჭუა – გამა, ჩლაიძე – ალფა.
- (გ) ხავთასი – ალფა, ჯაბაური – გამა, ჩლაიძე – დელტა, ჭოჭუა – ბეტა.
- (დ) ხავთასი – დელტა, ჭოჭუა – ალფა, ჯაბაური – ბეტა, ჩლაიძე – გამა.
- (ე) ჭოჭუა – დელტა, ხავთასი – ალფა, ჯაბაური – გამა, ჩლაიძე – ბეტა.



16. რომელია ის მძღოლი, ვისზეც შესაძლებელია დანამდვილებით იმის თქმა, თუ რომელ ბანკში უნდა მიიტანოს მან ფული?

- (ა) ხავთასი
- (ბ) ჯაბაური
- (გ) ჩლაიძე
- (დ) ჭოჭუა
- (ე) არცერთი

17. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საკმარისი იმის ცალსახად დასადგენად, თუ თითოეულმა სად უნდა მიიტანოს ფული?

- (ა) პირველი მანქანა ხავთასმა უნდა წაიყვანოს.
- (ბ) პირველი მანქანა ჯაბაურმა უნდა წაიყვანოს.
- (გ) პირველი მანქანა ჭოჭუამ უნდა წაიყვანოს.
- (დ) ბოლო მანქანა ჯაბაურმა უნდა წაიყვანოს.
- (ე) ბოლო მანქანა ჩლაიძემ უნდა წაიყვანოს.

# ტესტის დასასრული